ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ო ქ მ ი # 05

ქ. ონი 30. 05. 2024 წ.

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბაჩანა მარკოიშვილი.

საკრებულოს 33 წევრიდან სხდომას ესწრებოდა 23 წევრი: ბაჩანა მარკოიშვილი, ალავერდ ხვედელიანი, გიორგი მარკოიშვილი, სერგო ლობჯანიძე, ვლადიმერ ბერელიძე, ლევან ორდინიძე, სონია გუგეშაშვილი, ვასილ მეტრეველი, რევაზ საბანაძე, მერაბ ბიჭაშვილი, როსტომ ლობჯანიძე, თორნიკე მეტრეველი, ბიჭიკო კერვალიშვილი, ბიძინა ყიფიანი, მადლენა მეტრეველი, მამუკა ყავლაშვილი, ეკა მაისურაძე, თამაზ მეტრეველი, შალვა კახეთელიძე, ნინო ბერუჩაშვილი, თეიმურაზ ცეცაძე, თამილა არჩვაძე, გელა მეტრეველი.

არ ესწრებოდნენ: გივი მეტრეველი, გიორგი მეშვილდიშვილი, ფრიდონ გოგრიჭიანი, ბესიკი მაისურაძე, შუქურა ჯაფარიძე, ნინო გობეჯიშვილი, ნოდარ ბურდილაძე, ნონა მაისურაძე, ანა ბაქრაძე, ზურაბ ბენდიანიშვილი,

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ: მერის მოადგილე ლევან შერაზადიშვილი, მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი გივი ბენდიანიშვილი, მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსი თეიმურაზ გრძელიშვილი, მუნიციპალიტეტის მერის მრჩეველი თამარ ხომასურიძე.
სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი

1.ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების - ერთი ერთეული სპეციალიზებული ნარჩენების გადამზიდი მანქანის შპს ,,ონის მუნიციპალიტეტის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახურისათვის" პირდაპირი განკარგვის წესით დროებით სარგებლობაში (უსასყიდლდ), თხოვების ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების შესახებ.

/მომხსენებელი: ლ. შერაზადიშვილი-მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე

თანამომხს. თ. გრძელიშვილი - მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსი/

2.2024 წელს ონის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების დამტკიცების შესახებ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 21 მარტის N4 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

/მომხსენებელი: ლ. შერაზადიშვილი-მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე
თანამომხს: გივი ბენდიანიშვილი - მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტტ. სამს. უფროსი /

3. EU4ITD – ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების კატალიზატორის (CESL)-ის ფარგლებში მუნიციპალიტეტების საპროექტო იდეების კონკურსში ონის მუნიციპალიტეტის მიერ პროექტის "შეუბნის ადმინისტრაციული შენობის ბაზაზე მულტიფუნქციური სივრცის შექმნა და აღჭურვის" შესახებ.

/მომხსებებელი: თამარ ხომასურიძე - ონის მუნიციპალიტეტის მერის მრჩეველი/

4.ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების მიმდინარეობისა და ხარისხის შესახებ.

/მომხსენებელი: მამუკა ყავლაშვილი - კომისიის თავმჯდომარე/

დღის წესრიგი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე ყველა, წინააღმდეგი არცერთი

დამტკიცდა დღის წესრიგი

მოისმინეს : 1. ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების - ერთი ერთეული სპეციალიზებული ნარჩენების გადამზიდი მანქანის შპს ,,ონის მუნიციპალიტეტის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახურისათვის" პირდაპირი განკარგვის წესით დროებით სარგებლობაში (უსასყიდლდ), თხოვების ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების შესახებ.

/მომხსენებელი: ლ. შერაზადიშვილი-მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე

თანამომხს. თ. გრძელიშვილი - მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსი/

თანამომხსენებელმა სხდომას გააცნო განკარგულების პროექტი ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების - ერთი ერთეული სპეციალიზებული ნარჩენების გადამზიდი მანქანის შპს ,,ონის მუნიციპალიტეტის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახურისათვის" პირდაპირი განკარგვის წესით დროებით სარგებლობაში (უსასყიდლდ), თხოვების ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების შესახებ.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე ყველა, წინააღმდეგი-არცერთი

გადაწყდა: დამტკიცდა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მოისმინეს: 2.2024 წელს ონის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების დამტკიცების შესახებ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 21 მარტის N4 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

/მომხსენებელი: ლ. შერაზადიშვილი-მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე
თანამომხს: გივი ბენდიანიშვილი - მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტტ. სამს. უფროსი /

თანამომხსენებელმა სხდომას გააცნო განკარგულების პროექტი 2024 წელს ონის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების დამტკიცების შესახებ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 21 მარტის N4 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე ყველა, წინააღმდეგი-არცერთი

გადაწყდა: დამტკიცდა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მოისმინეს 3. EU4ITD – ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების კატალიზატორის (CESL)-ის ფარგლებში მუნიციპალიტეტების საპროექტო იდეების კონკურსში ონის მუნიციპალიტეტის მიერ პროექტის "შეუბნის ადმინისტრაციული შენობის ბაზაზე მულტიფუნქციური სივრცის შექმნა და აღჭურვის" შესახებ.

/მომხსებებელი: თამარ ხომასურიძე - ონის მუნიციპალიტეტის მერის მრჩეველი/

მომხსენებელმა სხდომას გააცნო განკარგულების პროექტი EU4ITD – ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების კატალიზატორის (CESL)-ის ფარგლებში მუნიციპალიტეტების საპროექტო იდეების კონკურსში ონის მუნიციპალიტეტის მიერ პროექტის "შეუბნის ადმინისტრაციული შენობის ბაზაზე მულტიფუნქციური სივრცის შექმნა და აღჭურვის" შესახებ.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე ყველა, წინააღმდეგი-არცერთი

გადაწყდა: დამტკიცდა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მოისმინეს ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების მიმდინარეობისა და ხარისხის შესახებ.

/მომხსენებელი: მამუკა ყავლაშვილი - კომისიის თავმჯდომარე/

მ. ყავლაშვილმა სხდომას წარუდგინა საკრებულოს სივრცით ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების მიმდინარეობისა და ხარისხის შესახებ.

ცნობად იქნა მიღებული წარმოდგენილი ინფორმაცია.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ საკრებულოს წევრებმა ისაუბრეს სხვადასხვა საკითხებზე.

ს. ლობჯანიძემ აღნიშნა, რომ სოფ. პატარა ღებში სასმელი წყლის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე ტენდერი ჩატარებულია, გამარჯვებული გამოვლენილია, თუმცა სამუშაოები ჯერ არ დაწყებულა, ასევე, რეაბილიტაციას საჭიროებს ნაპირსამაგრი ე.წ. ჭალეების უბნის ტერიტორიაზე.

ვ. მეტრეველმა ისაუბრა სოფ. უწერის გზისა და სოფ. ღებში ეკლესიამდე მისასვლელი გზის რეაბილიტაციის აუცილებლობაზე.

ვლ. ბერელიძემ ისაუბრა სოფ. ლაგვანთაში ტაძრამდე მისასვლელი გზის დარჩენილი მცირე მონაკვეთის მოასფალტების შესახებ.

გ. მარკოიშვილმა აღნიშნა, რომ სოფ. ღარში რეაბილიტირებული არხების თითქმის ნახევარი დაშლილია და საჭიროებს ხელახალ რეაბილიტაციას.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ბაჩანა მარკოიშვილი

საკრებულოს თავმჯდომარე